

*დამტკიცებულია:
საქართველოს საფონდო ბირჟის
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ
2018 წ. 4 ოქტომბერი, ოქმი N8*

სს საქართველოს საფონდო ბირჟა

ეთიკის კოდექსი და პროფესიული ქცევის სტანდარტები
სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“
წევრებისა და ბროკერებისთვის

(ახალი რედაქცია)

სარჩევი

1. ზოგადი დებულებები
2. მიზანი და საგანი
3. ტერმინთა განმარტებები
4. ეთიკის კოდექსი
5. პროფესიული ქცევის სტანდარტები
6. კოდექსისა და სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები ბირჟის წევრებისათვის
7. ეთიკის კოდექსის დარღვევა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე ეთიკის კოდექსი და პროფესიული ქცევის სტანდარტები (შემდგომში „კოდექსი და სტანდარტები“) დაფუძნებულია CFA ინსტიტუტის ეთიკის კოდექსსა და პროფესიული ქცევის სტანდარტებზე, რომლის მიზანია საინვესტიციო პროფესიის წარმართვა ეთიკის, განათლების და პროფესიული კვალიფიკაციის უმაღლესი სტანდარტების დანერგვით, საზოგადოების საკეთილდღეოდ. მაღალი ეთიკური სტანდარტები კრიტიკული მნიშვნელობისაა ფინანსური ბაზრებისა და საინვესტიციო პროფესიის მიმართ საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად. ეთიკის კოდექსი და სტანდარტები ხელს უწყობს საინვესტიციო საქმიანობაში ჩართული მხარეების კეთილსინდისიერებას და წარმოადგენს საინვესტიციო პროფესიის ეთიკურობის საზომს, სამუშაო ფუნქციების, თავისებურებების, კანონმდებლობისა და რეგულაციების მიუხედავად.

წინამდებარე ეთიკის კოდექსისა და სტანდარტების დაცვა სავალდებულოა სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (შემდგომში „ბირჟა“) ყველა წევრისა და ბროკერისათვის (შემდგომში „საფონდო ბირჟის წევრები“), მათ შორის სათანადოდ უფლებამოსილი პირებისათვის. კოდექსისა და სტანდარტების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს დისციპლინური, ადმინისტრაციული და/ან ფინანსური სანქციები, აგრეთვე სისხლის სამართლებრივი დევნა.

წევრის მმართველი ორგანო პასუხისმგებელია უზრუნველყოს კომპანიის და მასთან მომუშავე ბროკერების მიერ ამ კოდექსის დებულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

მუხლი 2. მიზანი და საგანი

კოდექსი და სტანდარტები ადგენს ეთიკური ქცევის იმ სტანდარტებს, რომელიც ბირჟის წევრებმა ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა დაიცვან. კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ღია, სამართლიანი ბაზრის ჩამოყალიბება და მისი ეფექტური ფუნქციონირება. ასევე, ეს კოდექსი ითვალისწინებს შუამავლების მიერ პროფესიული ქცევის და ბიზნესის კეთილსინდისიერად წარმოების პრინციპების დაცვას, მათ სამართლიანობაში ინვესტორების ნდობის გაღრმავებას.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

წევრი - ბირჟის წევრი (ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი, მათ შორის კანონით გათვალისწინებული უცხოური ფინანსური ინსტიტუტი).

ბროკერი - წევრთან მომუშავე პირი, რომელზეც ბირჟის საკვალიფიკაციო კომისიის მიერ გაიცა სათანადო სერტიფიკატი.

ფასიანი ქაღალდ(ებ)ი - მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდის სახით (ან მათი კომბინირებული ვარიანტით), ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად, ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ შეძენის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები.

არსებითი ინფორმაცია - ისეთი ინფორმაცია, რომელიც სავარაუდოდ მოახდენდა გავლენას ფასიანი ქაღალდის ფასზე, ან რომლის ფლობასაც ისურვებდა ინვესტორი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე.

არასაჯარო ინფორმაცია - ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯაროდ გაცხადებული და არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი ბაზრის ყველა მონაწილისათვის.

მანიპულირება ბაზარზე - მოიცავს ისეთ ქმედებას, რაც ხელოვნურად შეცვლის ფასიანი ქაღალდების ფასებს, ან ვაჭრობის მოცულობას ბაზრის მონაწილეთა შეცდომაში შეყვანის მიზნით. მანიპულირება ბაზარზე აზარალებს ყველა ინვესტორის ინტერესებს, ფინანსური ბაზრების მუშაობის მექანიზმის მოშლის და ინვესტორთა ნდობის გაუარესების გამო.

მანიპულირება ბაზარზე მოიცავს (1) არასწორი ინფორმაციის გავრცელებას და (2) ისეთი ტრანზაქციების განხორციელებას, რაც ბაზრის მონაწილეებს შეიყვანს შეცდომაში ფინანსური ინსტრუმენტების ფასწარმოქმნის მექანიზმის შეცვლის გამო.

(1) ინფორმაციით მანიპულირება მოიცავს მცდარი და დაუსაბუთებელი ინფორმაციისა გავრცელებას ვაჭრობის გამოწვევის ან შეფერხების, ან ფასიანი ქაღალდის ფასის ცვლილების განზრახვით.

(2) ტრანზაქციებით მანიპულირება მოიცავს შემთხვევებს, როდესაც ტრანზაქციის განმახორციელებელმა იცოდა, ან შეეძლო სცოდნოდა, რომ მის მოქმედებას შეეძლო გავლენა მოეხდინა ფასიანი ქაღალდის ფასზე. ასეთი მანიპულირება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ტიპის ტრანზაქციებით: გარიგება, რომელიც ხელოვნურად ახდენს გავლენას ფასზე, ან ვაჭრობის მოცულობაზე, რათა შექმნას ფინანსურ ინსტრუმენტზე ისეთი აქტიურობის, ან ფასის მოძრაობის შთაბეჭდილება, რაც განსხვავდება სამართლიანი და ეფექტური ბაზრების მოლოდინებისგან; ფინანსური ინსტრუმენტის დომინანტური, მაკონტროლებელი პოზიციის შექმნა მასთან დაკავშირებული დერივატივის (წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის) ან აქტივის ფასით მანიპულირების მიზნით.

საჩუქარი, სარგებელი, ან კომპენსაცია, რამაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს მისი მიმღების დამოუკიდებლობა და ობიექტურობა - ბირჟის წევრის მიერ უსასყიდლოდ ან საბაზრო ფასთან შედარებით ნაკლებ ფასად მიღებული ყოველგვარი სარგებელი, მატერიალური ან არამატერიალური სიკეთე, წვდომა ინფორმაციაზე, ფასდაკლებები, ბიზნესის საჭიროებით ნაკარნახევზე ძვირადღირებული სამოგზაურო ბენეფიტები, ბილეთები, ექსკლუზიური შეთავაზებები და მოსაწვევები, რეფერალები და სხვა, თუკი ამან შეიძლება იმოქმედოს ბირჟის წევრის დამოუკიდებლობაზე, ან მიუკერძოებლობაზე. წევრმა, ან ბროკერმა არ უნდა გასცეს (მიიღოს) ან დაუშვას, რომ იქნას გაცემული (მიღებული) რაიმე ფასეულობა საჩუქრის სახით (ფულადი საჩუქრის ჩათვლით), თუ მისი ღირებულება აღემატება 100 ლარს, ნებისმიერი სხვა კომპანიის ბროკერზე ან თანამშრომელზე, თუ ეს გასამრჯელო ან ფულადი საჩუქარი დაკავშირებულია რომელიმე წევრის საქმიანობასთან.

ჩანაწერები - მომხმარებლის შესახებ და მის საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული, მატერიალურ, ან ციფრულ საშუალებებზე შენახული ინფორმაცია. ამ კოდექსისა და სტანდარტების მიზნებისათვის ასეთი ჩანაწერების შენახვა მოითხოვება სულ ცოტა 7 წლის ვადით.

ეთიკური დილემა - სიტუაცია, როდესაც ეთიკური პრინციპების დაცვა წინააღმდეგობაში მოდის ვისამე ინტერესებთან; ან სიტუაცია, როდესაც რთულია საკითხის ეთიკურობის ცალსახა გადაწყვეტა; ან სიტუაცია, როდესაც ორი სხვადასხვა ეთიკური პრინციპი წინააღმდეგობაშია, ან ჩანს, რომ წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან.

კონფიდენციალური ინფორმაცია - ამ კოდექსისა და სტანდარტების მიზნებისთვის კონფიდენციალურია არსებულ, პოტენციურ და ყოფილ მომხმარებლებთან (შემდგომში „მომხმარებელი“) დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც ბირჟის წევრმა (1) მიიღო მომხმარებლის ბიზნესის ან პირადი დავალების შესრულების უნარის და უფლებამოსილების გამო და/ან (2) დაკავშირებულია მომხმარებელთან სპეციალურ, ან კონფიდენციალურ ურთიერთობასთან. მიუხედავად ამისა, ბირჟის წევრს შეიძლება გაუჩნდეს ვალდებულება, გაუმჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს, თუ ასეთი გამჟღავნება მოითხოვება კანონმდებლობით, ან ინფორმაცია ეხება მომხმარებლის მიერ არალეგალურ მოქმედებებს.

კონფიდენციალობის დაცვის მოთხოვნა ვრცელდება ინფორმაციაზე მას შემდეგაც, რაც პირი აღარ არის წევრის მომხმარებელი. შესაბამისად ბირჟის წევრი ვალდებულია დაიცვას ყოფილ მომხმარებელთა შესახებ ჩანაწერების კონფიდენციალობა. მომხმარებლის მიერ მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე წერილობითი ნებართვის გაცემის შემთხვევაში, ბირჟის წევრს ენიჭება უფლება, გაამჟღავნოს ეს ინფორმაცია.

ბირჟის წევრებმა უნდა გაითვალისწინონ, რა რისკებთან არის დაკავშირებული მომხმარებელთა ინფორმაციის შენახვა და ჰქონდეთ ადეკვატური პროცედურები, მომხმარებელთან დაკავშირებული და სენსიტიური ინფორმაციის გადაცემის, კომუნიკაციის, შენახვის თაობაზე. ამასთან წევრებმა თავიანთი თანამშრომლებისთვის უნდა ჩაატარონ პერიოდული ტრენინგები და სწავლებები მომხმარებელთა ინფორმაციის შექმნისა და შენახვის თაობაზე.

რეკომენდირებულია, წევრებმა არ გაამჟღავნონ მომხმარებლებთან დაკავშირებული არანაირი ინფორმაცია არავისთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება ხდება ოპერაციის შესასრულებლად ავტორიზირებულ თანამშრომელთან და ასეთი გამჟღავნება საჭიროა მომხმარებლის დავალების შესასრულებლად.

სამეთვალყურეო საბჭოს ეთიკის კომისია - კომისია, რომელიც შეირჩევა ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან და რომელსაც ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოსაგან მინიჭებული აქვს უფლება განიხილოს დისციპლინური დარღვევები და ჩაატაროს ქმედებები ამ კოდექსისა და საბჭოს მიერ დამტკიცებული კომისიის დებულების შესაბამისად.

საჩივარი - სს საქართველოს საფონდო ბირჟის ეთიკის კომისიის სახელზე წევრის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების ერთი-ერთი საფუძველი, კერძოდ:

- ა) იმ პირის წერილობითი განცხადება, რომელსაც მიაჩნია, რომ წევრის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა;
- ბ) წევრის საჩივარი სხვა წევრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.
- გ) წევრის საქმიანობასთან დაკავშირებული პირის მიმართვა წევრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

საჩივრის წარგენისა და წარმოების წესი დეტალურად გაწერილია სს საფონდო ბირჟის "დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსში", რომელიც ხელმისაწვდომია ბირჟის ვებ-გვერდზე www.gse.ge

პრეტენზია - მომხმარებლის მიერ წევრისათვის წარდგენილი წერილობითი უკმაყოფილება / განცხადება / მოთხოვნა მომხმარებლის მომსახურებთან დაკავშირებით. თითოეულმა წევრმა სათანადო გულისყურით უნდა შეინახოს მომხმარებლის ყველა წერილობითი პრეტენზიის საპასუხო მიღებული ზომების ჩანაწერი.

მუხლი 4. ეთიკის კოდექსი

საქართველოს საფონდო ბირჟის წევრები ვალდებული არიან:

- ა) კეთილსინდისიერად, კომპეტენტურად, ძალისხმევით, პატივისცემით და ეთიკურად მოეკიდნონ საზოგადოებას, მომხმარებლებს, პოტენციურ მომხმარებლებს, დამსაქმებლებს, დასაქმებულებს, ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და ზოგადად, კაპიტალის ბაზრის სხვა მონაწილეებს.
- ბ) ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილის პროფესიის პატიოსნება და მომხმარებელთა ინტერესები დააყენონ პირად ინტერესებზე მაღლა.
- გ) პროფესიული აქტივობების განხორციელებისას მიმართონ გონივრულ სიფრთხილეს და დამოუკიდებელ პროფესიულ განსჯას.
- დ) იმოქმედონ და წახალისონ სხვები, იმოქმედონ ეთიკურად და კეთილსინდისიერად, რაც აისახება მათდამი და ფასიანი ქაღალდების ბაზრისადმი ნდობაში.
- ე) ხელი შეუწყონ ფასიანი ქაღალდების ბაზრის და ზოგადად კაპიტალის ბაზრის მონაწილეთა კეთილსინდისიერებას და წარმატებას საზოგადოების სარგებლისათვის.
- ვ) შეინარჩუნონ და განავითარონ პროფესიული კვალიფიკაცია და შეეცადონ შეინარჩუნონ და განავითარონ სხვა პროფესიონალთა კვალიფიკაცია.

მუხლი 5. პროფესიული ქცევის სტანდარტები

საქართველოს საფონდო ბირჟის წევრებმა საკუთარი პროფესიული საქმიანობის შესრულებისას უნდა დაიცვან პროფესიული ქცევის შემდეგი სტანდარტები:

5.1. პროფესიონალიზმი

ა) **კანონმდებლობის ცოდნა.** საქართველოს საფონდო ბირჟის წევრები ვალდებული არიან ესმოდეთ და შეასრულონ მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები, მთავრობის, ეროვნული ბანკის, ნებისმიერი საზედამხედველო და მარეგულირებელი ორგანოების, საქართველოს საფონდო ბირჟისა და პროფესიული საქმიანობის ზედამხედველი ასოციაციების ყველა შესაბამისი წესი და რეგულაცია, საქართველოს საფონდო ბირჟის ეთიკის კოდექსისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების ჩათვლით. მოთხოვნებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში ბირჟის წევრები უნდა დაემორჩილონ უფრო მკაცრ კანონს, წესს თუ რეგულაციას. საქართველოს საფონდო ბირჟის წევრები შეგნებულად არ უნდა მონაწილეობდნენ და უნდა გაემიჯნონ კანონის, წესის თუ რეგულაციის ნებისმიერი სახით დარღვევას.

ბ) **დამოუკიდებლობა და ობიექტურობა.** საქართველოს საფონდო ბირჟის წევრებმა უნდა გამოიჩინონ გონივრული სიფრთხილე და განსჯა, რათა შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და ობიექტურობა

პროფესიულ საქმიანობაში. არ უნდა შესთავაზონ, მოითხოვონ, ან მიიღონ ნებისმიერი სახის საჩუქარი, სარგებელი ან კომპენსაცია, რამაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს მათი, ან სხვების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

გ) შეცდომაში შეყვანა: დაუშვებელია ბირჟის წევრების მიერ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტების განზრახ არასწორად წარმოდგენა. წევრმა, ან ბროკერმა არ უნდა მისცეს მომხმარებელს გარანტია, რომ წევრის მიერ ამ მომხმარებლისათვის წარმოებული ფასიანი ქაღალდის ანგარიში (მომხმარებლის პორტფელი), ან ამ წევრის მიერ მომხმარებლისათვის ან მომხმარებელთან დადებული ფასიანი ქაღალდებით გარიგების შედეგად მომხმარებელი არ განიცდის ზარალს.

დ) გადაცდომა: საქართველოს საფონდო ბირჟის წევრებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა არაკეთილსინდისიერ, თაღლითურ, თვალთმაქცურ პროფესიულ ქცევაში, ან განახორციელონ ისეთი ქმედება, რაც უარყოფითად აისახება მათ პროფესიულ რეპუტაციაზე, კეთილსინდისიერებასა და კომპეტენციაზე. წევრმა, ან ბროკერმა არადანიშნულებისამებრ არ უნდა გამოიყენოს მომხმარებლის სახსრები, ან ფასიანი ქაღალდები.

5.2. კეთილსინდისიერება ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე

ა) არსებითი არასაჯარო ინფორმაცია. საქართველოს საფონდო ბირჟის წევრებმა, რომელთაც აქვთ წვდომა ისეთ არსებით არასაჯარო ინფორმაციაზე, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ინვესტიციის ღირებულებაზე, არ უნდა ისარგებლონ ამ ინფორმაციით და არც სხვებს მისცენ საშუალება, ხელი მიუწვდებოდეთ და გამოიყენონ ეს ინფორმაცია.

ამასთან, ეს სტანდარტი არ კრძალავს „მოზაიკის თეორიით“ სარგებლობას, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების დაფუძნებას არსებით საჯარო, არაარსებით არასაჯარო ინფორმაციებზე და მათ ანალიზზე.

ბ) მანიპულირება ბაზარზე. ბირჟის წევრები არ უნდა მიმართავდნენ ისეთ პრაქტიკას, რაც გამოიწვევს ფასებით მანიპულირებას, ან ხელოვნურად გაზრდის ან შეამცირებს ვაჭრობის მოცულობას ბაზრის მონაწილეთა შეცდომაში შეყვანის და/ან მომხმარებელთა მიერ გადასახდელი საკომისიოების ხელოვნურად გაზრდის მიზნით.

5.3. ვალდებულებები მომხმარებლებისადმი

ა) ლოიალურობა, წინდახედულობა და სიფრთხილე. საქართველოს საფონდო ბირჟის წევრებს აქვთ მომხმარებლებისადმი ლოიალურობის ვალდებულება, უნდა იმოქმედონ გონივრული სიფრთხილით და წინდახედული განსჯით. ბირჟის წევრებმა უნდა იმოქმედონ მომხმარებლების საკეთილდღეოდ და დააყენონ მომხმარებელთა ინტერესები დამსაქმებლისა და საკუთარ ინტერესებზე მაღლა.

ბ) სამართლიანი გარიგებები. ბირჟის წევრებმა პროფესიული საქმიანობისას უნდა იმოქმედონ სამართლიანი და ობიექტური პრინციპებით ყველა მომხმარებელთან მიმართებაში, მათთვის რეკომენდაციების, საინვესტიციო და სხვა პროფესიული სერვისების გაწევის დროს. „სამართლიანი“ არ ნიშნავს „თანაბარს“: ბიზნესის ყოველდღიურ საქმიანობაში ნორმალურია გარკვეული განსხვავება მომსახურების დროსა და ხარისხში. სერვისების სხვადასხვა დონის შეთავაზება მისაღებია არადისკრიმინაციულობის პრინციპის დაცვით. სერვისების სხვადასხვა დონეების არსებობა უნდა იყოს გამჟღავნებული ყველა არსებულ თუ პოტენციურ მომხმარებელთან. პრემიუმ დონისა და ხარისხის სერვისები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც თანახმაა ასეთ სერვისებში საკომისიო გადაიხადოს.

წევრებმა და მათმა ბროკერმა, კეთილგონიერების ფარგლებში, ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ, რათა ფასიანი ქაღალდისათვის მოიძიონ საუკეთესო ბაზარი და ამგვარი ბაზრის პირობებში, აწარმოონ ყიდვა-გაყიდვა მომხმარებლისათვის შემღებობისდაგვარად ხელსაყრელ ფასში, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

გ) შესაბამისობა.

1. საქართველოს საფონდო ბირჟის წევრები ვალდებული არიან:

1.1. ნებისმიერი სახის პროფესიულ ქმედებამდე (მათ შორის მომხმარებლისათვის საინვესტიციო რეკომენდაციის გაწევამდე) გონივრულად გამოიკვლიონ მომხმარებლის, თუ პოტენციური მომხმარებლის მოთხოვნები და სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მომხმარებლისთვის / პოტენციური მომხმარებლისთვის გონივრული და ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად, ამასთან გადახედონ და განაახლონ ინფორმაცია რეგულარულად (რაც მოიცავს და არ შემოიფარგლება) შემდეგით:

- მომხმარებლის ოჯახი და სხვა ფინანსური შემოსავლები და ვალდებულებები;
- მომხმარებლის მიერ რისკის მიმდებლობა და შესაძლებლობა (რისკისადმი ტოლერანტობის დონე);
- მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობა და ლიკვიდურობის მოთხოვნები;
- მომხმარებლის საგადასახადო მდგომარეობა;
- მომხმარებლის სამართლებრივი და რეგულატორული შეზღუდვები;
- მომხმარებლის საორიენტაციო საინვესტიციო დროის ჰორიზონტი;
- მომხმარებლის სხვა უნიკალური (განსაკუთრებული) შემზღუდავი ფაქტორები;
- სხვა მსგავსი ინფორმაცია, რომელსაც გამოიყენებს წევრი ან ბროკერი მომხმარებლისათვის რჩევის მიცემისას).

1.2. ნებისმიერი სახის პროფესიულ ქმედებამდე დარწმუნდნენ, რომ გადაწყვეტილება შეესაბამება მომხმარებლის ფინანსურ მდგომარეობას და თანხვედრაშია მის მიზნებთან, უფლებამოსილებასთან (მათ შორის წევრისთვის ან ბროკერისთვის მიცემულ უფლებამოსილებასთან და/ან სავაჭრო დავალებასთან) და შეზღუდვებთან.

1.3. მომხმარებლისათვის საინვესტიციო რეკომენდაციის გაწევამდე შეაფასონ ინვესტიციის შესაბამისობა მომხმარებლის მთლიანი პორტფელის კონტექსტში.

2. თუ ბირჟის წევრები მართავენ სპეციფიური უფლებამოსილების, სტრატეგიის ან სტილის პორტფელს, მათი საინვესტიციო რეკომენდაციები და საინვესტიციო მოქმედებები არ უნდა სცილდებოდეს პორტფელის გაცხადებულ მიზნებსა და შეზღუდვებს.

დ) შედეგების წარდგენა. მომხმარებლისათვის ინვესტიციის შედეგების გაცნობისას, ბირჟის წევრებმა უნდა გასწიონ გონივრული ძალისხმევა, რათა უზრუნველყონ ინფორმაციის სიცხადე, სიზუსტე და სისრულე.

ე) კონფიდენციალობის დაცვა. საქართველოს საფონდო ბირჟის წევრებმა უნდა უზრუნველყონ მიმდინარე, ყოფილ და პოტენციურ მომხმარებელთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

1. ინფორმაცია ეხება არალეგალურ მოქმედებებს მომხმარებლის ან პოტენციური მომხმარებლის მხრიდან,
2. ასეთი გამჟღავნება მოითხოვება კანონით, ან
3. ინფორმაციის გამჟღავნებაზე თანხმობას გაცემს მომხმარებელი ან პოტენციური მომხმარებელი.

5.4. ვალდებულებები დამსაქმებლებისადმი

ა) **ლოიალურობა.** დასაქმების საკითხებში წევრების თანამშრომლებმა უნდა იმოქმედონ დამსაქმებლის სასარგებლოდ, გამოიყენონ საკუთარი უნარ-ჩვევები დამსაქმებლის საკეთილდღეოდ, არ გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია და არ მიაყენონ ზიანი დამსაქმებელს.

ბ) **დამატებითი ანაზღაურების შეთანხმება.** საქართველოს საფონდო ბირჟის წევრების თანამშრომლებმა არ შეიძლება მიიღონ საჩუქრები, სარგებელი, კომპენსაცია, ან ანაზღაურება, რამაც შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტი შექმნას დამსაქმებლის ინტერესებთან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი მოიპოვევენ წერილობით თანხმობას ყველა ჩართული პირისგან.

გ) **ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობა.** საქართველოს საფონდო ბირჟის წევრების ხელმძღვანელმა პირებმა უნდა გასწიონ გონივრული ძალისხმევა, რათა უზრუნველყონ მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთა მიერ შესაბამისი კანონმდებლობის, წესების, რეგულაციების, კოდექსისა და სტანდარტების დაცვა.

5.5. საინვესტიციო ანალიზი, რეკომენდაციები და ქმედებები

ა) **ძალისხმევა და გონივრული საფუძველი.**

1. ბირჟის წევრებმა უნდა გამოიჩინონ ძალისხმევა, დამოუკიდებლობა და აკურატულობა საინვესტიციო ანალიზის, საინვესტიციო რეკომენდაციების გაცემისა და საინვესტიციო მოქმედებების განხორციელების დროს.

2. ბირჟის წევრების საინვესტიციო ანალიზი, რეკომენდაციები და მოქმედებები უნდა ემყარებოდეს შესაბამისი კვლევითა და ძიებით მხარდაჭერილ გონივრულ და ადეკვატურ საფუძველზე.

ბ) **მომხმარებლებთან და პოტენციურ მომხმარებლებთან კომუნიკაცია.** ბირჟის წევრებმა:

1. მომხმარებლებს და პოტენციურ მომხმარებლებს უნდა გაუმჟღავნონ საინვესტიციო პროცესის ფორმატი და ძირითადი პრინციპები, რომლებსაც იყენებენ ინვესტიციების ანალიზის, ფასიანი ქაღალდების შერჩევის და პორტფელის შექმნის დროს. ასევე დაუყოვნებლივ უნდა გაამჟღავნონ ნებისმიერი ცვლილება, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ამ პროცესებზე.

2. მომხმარებლებს და პოტენციურ მომხმარებლებს უნდა გაუმჟღავნონ საინვესტიციო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი შეზღუდვები და რისკები.

3. საინვესტიციო ანალიზის, რეკომენდაციებისა და მოქმედებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორების იდენტიფიცირებისას უნდა მიმართონ გონივრული განსჯას, ამასთან მომხმარებლებსა და პოტენციურ მომხმარებლებს შეატყობინონ ეს ფაქტორები.

4. საინვესტიციო ანალიზისა და რეკომენდაციების პრეზენტაციისას ცხადად უნდა გამიჯნონ ფაქტი და პირადი მოსაზრება.

გ) **ჩანაწერების წარმოება.** ბირჟის წევრებმა უნდა აწარმოონ და შეინახონ ყველა საჭირო ჩანაწერი თავიანთი საინვესტიციო ანალიზის, რეკომენდაციების, მოქმედებების და ინვესტიციებთან დაკავშირებული კომუნიკაციების მხარდასაჭერად.

5.6. ინტერესთა კონფლიქტი

ა) **კონფლიქტების გამჟღავნება.** ბირჟის წევრებმა და მათმა თანამშრომლებმა სრულად და ნათლად უნდა გაამჟღავნონ ყველა საკითხი, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს მათი დამოუკიდებლობა და ობიექტურობა, ან ხელი შეუშალოს მომხმარებლებისადმი, პოტენციური მომხმარებლებისადმი და დამსაქმებლისადმი მათი მოვალეობების შესრულებას. ბირჟის წევრებმა და მათმა თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთი გამჟღავნება იყოს ცხადი, გადმოცემული გასაგები ენით და ინფორმაციას ასახავდეს ეფექტიანად.

ბ) ტრანზაქციების პრიორიტეტულობა. მომხმარებლების საინვესტიციო ტრანზაქციებს დროში გააჩნიათ პრიორიტეტულობა ბირჟის წევრების ბენეფიციური მფლობელობით (წევრთა და/ან მათ თანამშრომელთა საკუთარ ანგარიშზე) განხორციელებულ ტრანზაქციებთან შედარებით.

გ) გადამისამართებით მიღებული შემოსავლები. საქართველოს საფონდო ბირჟის წევრებმა დამსაქმებელს, მომხმარებლებს და პოტენციურ მომხმარებლებს სრულად უნდა განუმარტონ პროდუქტის ან სერვისის რეკომენდაციის გაწევით მიღებული ან გაცემული ყველა რელევანტური კომპენსაცია, ანაზღაურება თუ სარგებელი.

მუხლი 6. კოდექსისა და სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები ბირჟის წევრებისათვის

ბირჟის წევრების მიერ წინამდებარე კოდექსისა და სტანდარტების ეფექტურად შესრულებისათვის მისაღები ღონისძიებები იგეგმება თავად ბირჟის წევრების მიერ. კოდექსისა და სტანდარტის არსებული რედაქცია, ასევე მასში შესული ცვლილებები ხელმისაწვდომი ხდება ბირჟის წევრებისათვის მათი დამტკიცებიდან არაუგვიანეს 1 კვირის ვადაში.

ამასთან, ბირჟის წევრებს ამ კოდექსითა და სტანდარტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ სრულად, თუ ისინი აცნობიერებდნენ, ან შეეძლოთ გაეცნობიერებინათ, რომ ადგილი ჰქონდა ეთიკურ დილემას, ან გადაცდომას. ასეთი პასუხისმგებლობა რეგულირდება „საქართველოს საფონდო ბირჟის“ დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 7. ეთიკის კოდექსის დარღვევა

7.1. ყველა წევრი და წევრთან მომუშავე ბროკერი ვალდებულია მკაცრად დაიცვას წინამდებარე ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დებულებები.

7.2. ეთიკის კოდექსის დებულებების დარღვევა ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედებად და შესაძლოა გამოიწვიოს დისციპლინური სახდელის დაკისრება საქართველოს საფონდო ბირჟის დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსით შესაბამისად.

7.3. ეთიკური ქცევის პრინციპების და პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში ბირჟის წევრს პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ ის აცნობიერებდა, ან შეეძლო გაეცნობიერებინა, რომ მისი ქმედებით, ან უმოქმედობით ხელს უწყობდა ეთიკურ გადაცდომას.

7.4. პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ წევრის მიერ ადგილი აქვს წინამდებარე ეთიკის კოდექსის ნორმათა დარღვევას, უფლებამოსილია საჩივრით მიმართოს სს საქართველოს საფონდო ბირჟის ეთიკის კომისიას ბირჟის "დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსის" შესაბამისად, რომელიც ხელმისაწვდომია ბირჟის ვებ-გვერდზე www.gse.ge

7.5. ეთიკის კოდექსის და პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევის შემთხვევას განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოს ეთიკის კომისია, ბირჟის დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის შემადგენლობაში შემავალ რომელიმე წევრს აქვს პირდაპირი, ან არაპირდაპირი კავშირი განსახილველ საქმესთან, ან მასთან კავშირში მყოფ პირ(ებ)თან, რამაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას კომისიის წევრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას, ან წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, აღნიშნულმა წევრმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა საქმის

განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში და ის კონკრეტული საქმის განხილვის ფარგლებში უნდა გამოირიცხოს კომიტეტის შემადგენლობიდან.